



ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

N 1564
23/08/2018

ქალაქი ბათუმი

1564-05-4-201808231503



„ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების მობილური ტელეფონების ხარჯების უზრუნველსაყოფად თანხის გამოყოფის შესახებ“- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 ივნისის №1150 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის პირველი ნაწილის „ე“ პუნქტის „ე.ე“ ქვეპუნქტის, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის განათლების და კულტურის სამსახურის ხელმძღვანელის ქეთევან დევაძის 2018 წლის 20 აგვისტოს №2378-05 მოხსენებითი ბარათის თანახმად **ვბრძანებ:**

1. შევიდეს ცვლილება „ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიის პოლიტიკური თანამდებობის პირებისა და საჯარო მოსამსახურეების მობილური ტელეფონების ხარჯების უზრუნველსაყოფად თანხის გამოყოფის შესახებ“- ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 13 ივნისის №1150 ბრძანებაში და ამავე ბრძანების პირველი პუნქტით დამტკიცებული დანართი ჩამოყალიბდეს თანდართული რედაქციით.

2. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში (მის. ქალაქი ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358) დაინტერესებული მხარის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

3. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ჯუმბერ ვარდმანიძე

მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა